KA030128493777520

№ 01-6639 **24 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ჯანდაცის სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება და როგორც COVID-19-ის პანდემის, ისე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა გლობალურ საფრთხეებზე საპასუხო ქმედებების გაუმჯობესება.

გამომდინარე აქედან, საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის საწოლ-ფონდის გაძლიერებას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა COVID-19-ის კრიზისის დროს წარმოქნილი საჭიროებების მობილიზებასთან მიმართებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ჰოლდინგში შემავალი სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფის თაობაზე.

დონორებთან მოლაპარაკებების შემდეგი ეტაპების და სს "უნივერალური სამედიცინო ცენტრის" და შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიფიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ განვითარების გეგმების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი ინფრასტრუქტურის შეფასება მომავალი მოწყობის მიზნით.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, ზემოაღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების ექსპერტიზის (შენობის მდგრადობის და არსებული მდგომარეობის შეფასება, სტაციონარული დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობა და საჭიროების შემთხვევაში, შენობის სარეაბილიტაციოდ/ სარეკონსტრუქციოდ საჭირო საორიენტაციო ხართაღრიცხვა) ჩატარების უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია